ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
№EU/ADM/22

ქ. თბილისი 4 მაისი 2011 წელი

ერთის მხრივ, სსიპ „ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“ (მისამართი: ქ. თბილისი, მისამართი: მ. ასათიანის ქ. №9, საიდენტიფიკაციო კოდი 211324351, საბანკო რეკვიზიტები: ბანკი „რესპუბლიკა“ ბ/კ 220101757, ა/ა 102531545506) (შემდგომში „შემსყიდველი”)

მეორეს მხრივ: შ.პ.ს. „მვპ“ (საქართველო, ქ.თბილისი იურიდიული მის: გუდიაშვილის მოედ. 7/2, ფაქტობრივი ადგილსამყოფელი: კოსტავას ქ. №68, საიდენტიფიკაციო კოდი: 204465131, საბანკო რეკვიზიტები: „თიბისი ბანკის“ ცენტრალური ფილიალი, ბანკის კოდი 220101830, ა/ა 18467568), (შემდგომში „მიმწოდებელი“)

თანხმდებიან შემდეგზე:

1 ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ევროკავშირის გრანტით (№TACIS/2007/147562) დაფინანსებული „პირველადი ჯანდაცვის რეფორმის მხარდაჭერის პროექტის“ ფარგლებში, გაზეთში „24 საათი“ ტენდერებისა და კონკურსების შესახებ განცხადებების გამოქვეყნების მომსახურების შესყიდვა გამარტივებული ტენდერის საშუალებით.

1.2 ხელშეკრულების ობიექტის კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტია 79824000 - ბეჭდვა და გავრცელება.

2 ხელშეკრულების ღირებულება

2.1 გასაწევი მომსახურების საერთო ზღვრული ღირებულება შეადგენს 2,150.00 (ორიათას ასორმოცდაათი) ლარს (შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება“).

2.2 მომსახურების მოცულობა განისაზღვრება შემსყიდველის მიერ თითოეული დაკვეთის შესაბამისად, რომლითაც მოხდება ხელშეკრულების საერთო საბოლოო ღირებულების განსაზღვრა.

2.3 მომსახურება გაწეული იქნება შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №68.

3 მხარეთა უფლება-მოვალეობანი

3.1 შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას გაწეული მომსახურების ღირებულება.

5 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მომსახურების გაწევის შემდგომ მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (ანგარიშ-ფაქტურა (ინვოისი)).

5.2 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

5.3 მომსახურების გაწევის მიღება-ჩაბარების აქტი იძლევა ხელშეკრულებაში დაფიქსირებული თანხის მოთხოვნის საფუძველს.

6 ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტა - ლარში.

6.2 შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება ეტაპობრივად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ.

6.3 ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7 მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე გასაწევი მომსახურების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, რომლის გადახდა მოხდება დაზარალებული მხარის წერილობითი მოთხოვნის შესაბამისად.

7.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

8 ფასები

8.1 წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლში დაფიქსირებული გასაწევი მომსახურების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს, რომლის გაზრდა ან შეცირება დასაშვებია წლის განმავლობაში გამოსაქვეყნებელი განცხადებების მოცულობის შესაბამისად.

9 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

10 ინსპექტირების პირობები

10.1 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების ინსპექტირებას განახორციელებს – ევროკავშირის პროექტის შესყიდვების უფროსი სპეციალისტი ნატო დვალი, რომელიც უზრუნველყოფს გაწეული მომსახურების (მთლიანი ან/და ნაწილობრივი) მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებას დადგენილი წესის შესაბამისად.

11 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

11.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12 ფორს-მაჟორი

12.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხეშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13 სხვა პირობები

13.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

13.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

13.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 3 (სამ) ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ხოლო 2 (ორი) ეგზემპლარი ინახება შემსყიდველ მხარესთან.

13.4 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

„შემსყიდველის“ სახელით	„მიმწოდებელის“ სახელით
სსიპ „ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“	შპს ”მვპ”
ნატო ავალიანი გენერალური დირექტორი	მამუკა ფაჩუაშვილი დირექტორი
ბ. ა.	ბ. ა.